ნიანგი

9

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოცემის, 55-ე წელი, (№ 1523)· მაისი, 1978, ფასი 20 კაპიკი·

ნახ. გ. ფირცხალავასი

— რატომ არ აწერია ფასები?!
— მკითხეთ, ბატონო, ზეპირად ვიცი!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საკავშირო ლენინური კომკავშირის XVIII ყრილობას

ახალგაზრდობა

დიდი სიცოცხლის
მთავარი ძარღვი
და დედამიწის
დაფნის სიმწვანე!..
ზვალინდელ დღეზე
ოცნებაც არ ღირს, —
მისი სახელი
თუ არ იწამე!..

მოქუხს,
მოღელავს
და მოირწევა,
როგორც მდინარე
უკალაპოტო!..
ძიება,
პოვნა,
ძლევა,
მიღწევა —
ძილშიც აფხიზლებს,
ძილშიც აბოდებს!..

დუღს!..
ბორგავს სულით,
სისხლით და ხორცით!..
ანთია ფიქრით,
ოცნებით, ტვინით!..
უყვარს,
კანკალებს,
ეხვევა,
კოცნის!..
თავაწყვეტილად
იცინის,
ტირის!..

ვარსკვლავეთისკენ
მზირალ მის
თვალებს —
ვერ დააჯერებ,
თუ სუფევს ძილი!..
სულმოუთქმელად
მოირბენს მთვარეს!..
მარსზე
საკინძეგახსნილი
ივლის!..

დიდ საიდუმლოს
მოსტაცებს კოსმოსს
და ანთებულ გულს
გაუმხელს მიწის,
რომ კაცთა მოდგმამ
მარადის კოცნოს —
აღმშენებელი
მარჯვენა მისი!..

თამაშობს!..
იკვლევს!..
აშენებს!..
ეძებს!..
ქმნის!..
წერს!..
ესწრაფვის
სანუკვარ მიზნებს!..
ფიქრობს,
ოცნებობს —
მიწაზე,
მზეზე,
დედაზე,
ცოლზე,
სატრფოზე,
შვილზე!..

იტანს პოლუსის
სიცივეს —
მსუსხველს —
და ეკვატორის
უმკაცრეს სიცხეს...
სეირნობს!..
ყვირის!..
ეძახის!..
უსტვენს!..
ამაყობს!..
მღერის!..
კარგავს და იძენს!..

იგია მიწის
ძალა და ღონე!..
ოცნება მისი —
ცათა ელჩია!..
ერთ ამოსუნთქვას
ამოაყოლა, —
ელვა და მეხი, —
რაც ჰაერშია!..
ადინჯებს,
ავსებს,
აბრძენებს სიბრძნე —
„ერთხელ გაჭერი,
ასჯერ გაზომე!“
იგი აოენებს,
აღამებს წიგნზე
და ტიტანური
ტვინით აზროვნებს!..

დრტვინავს!..
იმარჯვებს!..
მარცხდება!..
იბრძვის!..
ეცემა!..
დგება!..
დგება!..
ეცემა!..
მზის ჩასვლის მსგავსი
სიკვდილი იცის!..
არ იცის,
რაა ამოკვნესება!..

სიძნელეები
ერთხმება ფერხთით!..
მიილტვის ძნელი,
უვალი გზებით! —
მკვრივი კუნთებით,
გავსებულ მკერდით,
ნაწნავით,
ქოჩრით,
ხუჭუჭა თმებით!..

დიდების უწვდომ
მწვერვალზე დგება —
წიგნით,
მუსიკით,
ჩუქურთმით,
სპორტით!..
შინაარსს აძლევს
თავდავიწყებას,
ზეიმს,
სიხარულს,
დღეობას,
ქორწილს!..

მზის მხურვალებით
უფეთქავს გული!..
მარჯვენა უჭრის
ქარიშხლის ჟინით!..
სივრცის სილაღით
სავსე აქვს სული!..

ცათა სინათლით
უნთია ტვინი!..
მზემაც რომ ერთი
სხივი დაგვაკლოს, —
იგი მზადაა
მზის დასასჯელად!..
დაიღუპება
ულაპარაკოდ, —
მისი ძალ-ღონის
ვისაც არ სჯერა!..

გამარჯვებებზე
ოცნების ეფვნით —
დადის მიწაზე,
დაფრინავს ცაში
და უგიზგიზებს
პრომეთეს ცეცხლი —
სიტყვაში!..
სულში!..
საქმეში!..
ტანში!..

მას ერთადერთი
ღმერთი სწამს
მხოლოდ —
და ეს ღმერთია —
თავისი თავი!..
ძველს და
დრომოჭმულს
ელის დამსხვრევა
მისი სიმძლავრის
დაძრული ზვავით!..

მდუღარე სისხლის
ანთებულ წვეთით
ახალ ვარსკვლავებს
დაეძებს ცაში!..
და ეხარჯება
სიცოცხლის დენთი —
აღმოჩენაში,
ძებნაში,
წვაში!..

მშობელი ხალხის
ტკივილი ესმის!..
ხალხის სჯერა და
ხალხს ემონება!..
გამბედაობის
ღვთიური ცეცხლი
მზის მხურვალებით
უნთებს გონებას!..

ყოველი არსი
მორჩილებს იმას!..
სულგანაბული
უსმენს ყოველი!..
აქვს დედამიწა —
ნანატრი ბინა —
მდიდარი!..
უხვი!..
ოქროსძთოველი!

აქვს ცის და მიწის
მუდმივი ვალი!..
აქვს დიდი რწმენა,
დიდი ნაღველიც!..
ახალგაზრდობა
იყო და არის! —
იქნება მარად
მისი სახელი!..

ზაურ ბოლქვაძე

მეგობრული შარჟი გ. ფირცხალავასი

არნოლდ ჩიქობავას

ენათმეცნიერს გაქებ ღვთაებრივს, —
ქართულ ენაზე მზე რომ ამოგდის!
მამულიშვილი სათაყვანები
და საამაყო — შენ ხარ **არნოლდი!**

ციდან ღმერთების ენა გიხმობდა
და ცას წიგნების კიბე მიადგი!
შენთა ტიტულთა, შენთა ჯილდოთა
ჩამოთვლას უნდა მთელი „ნიანგი“!

ქართული ენის შენ ხარ დიდმცველი,
მარადისობა ამ ენის გჯერა
და თავს ევლები ყველა ღირსებით
უხვად შემკულ და კურთხეულ ენას!

გადაიხადე ათასი ომი,
ათასივეში გმირად ბრწყინავდი
და **„ენათა მთა“** — **კავკასიონი** —
უფრო ამაღლდა შენი სიმაღლით!

მეგრულ-ჭანური ანუ ზანური,
სლავურ-აფხაზურ-ნახურ-ხუნძური,
ადიღური და ბასკურ-სვანური
ენების ცოდნით ხარ დახუნძლული!

გამოულეველ შენს ენერგიას
აქვს **კონსტრუქცია ერგატიული!**
მოწაფეები გეფერებიან,
გეგებებიან ყველგან ტრიუმფით!

ერი გიმადლის **ქართული ენის** —
შენ—**განმარტებით** უკვდავ **ლექსიკონს!**
მოღვაწეობა განთქმული შენი
ოქროქართველ ხალხს მუდამ ესითბოს!

გარდაუვალი ძალით შეერთვე
ჟამთა დინებას, ჟამთა მრავლობას!
არნოლდ, გისურვებ ოცდამეერთე
საუკუნეში **გარდამავლობას!**

მე ერთი ნატვრის ვიწვი კოცონზე,
მწამს, გავიხარებ მისი ახდომით:
სამას წელზე მეტს მინდა ცოცხლობდე—
სამასზე მეტი შრომის ავტორი!

გათუ მელია

ნახ. ჯ. ლოლუასი

— აქ სადღაც ქორწილი იქნებოდა!

ᲛᲝᲛᲮᲛᲐᲠᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲓ!

ᲩᲕᲔᲜᲡ მაღაზიაში მიღებულია ახალი მარკის უთოები, რომელთაც ძველი ტიპის უთოებთან დიდი უპირატესობა გააჩნიათ: თუ, მაგალითად, ქუჩაში დიდი ხნის უნახავ მეგობართან საუბრის დროს გაგახსენდათ, რომ უთო ჩართული დაგრჩენიათ, ელდა ნუ გეცემათ, შეგიძლიათ, მშვიდად გააგრძელოთ საუბარი, უთო არ ცხელდება!

ᲭᲐᲑᲣᲙᲐ ᲓᲔᲘᲡᲐᲫᲔ

ᲥᲐᲠᲐᲒᲛᲔᲑᲘ

● **ᲪᲣᲓᲖᲔ** თვალს განგებ ხუჭავდა და სიბეცეს სწამებდნენ.

● **ᲮᲔᲚᲡ** მხოლოდ იმას ართმევდა, ვინც ხელს აძლევდა.

● **ᲮᲔᲚᲥᲕᲔᲘᲗᲔᲑᲡ** სათოფეზე არ იკარებდა და თავს იმართლებდა, პროტექციონიზმს ვებრძვიო!

● **ᲥᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲡ** საკუთარი საზომით ზომავდა და ორიგინალურ პიროვნებად მიაჩნდათ.

● **ᲡᲐᲥᲕᲔᲧᲜᲝ** საქმეზე ბევრს გაჰყვიროდა, საკუთარი რომ არ გაეფუჭებინა.

● **ᲗᲐᲜᲐᲛᲓᲔᲒᲝᲒᲘᲓᲐᲜ** ათავისუფლებდნენ და თანამშრომლები თავისუფლებას გრძნობდნენ.

ᲐᲚᲛᲐᲜᲖᲝᲠ ᲗᲐᲕᲐᲫᲔ

ᲛᲘᲙᲠᲝᲓᲘᲐᲚᲝᲒᲘ

— ამაზე უკეთეს ადგილს ვერ გამოგიყოფთ!

— ბატონო, ის უბედური სიცოცხლეშიც ვერ იტანდა სიმაღლეს, მაღალი წნევა აწუხებდა.

— მაინც რამდენი ჰქონდა?

— 280, შენი ჭირიმე, 160-ზე!

— მაშ, მინიმუმი ას სამოცი ხომ?

— დიახ!

— აბა, მაგას კაპიკი აღარ მოაკლდება!

ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚ ᲛᲣᲮᲣᲠᲐᲫᲔ

„ᲩᲐᲗᲠᲔᲕᲐᲡ ᲩᲐᲧᲝᲚᲐ ᲡᲯᲝᲑᲘᲐ!“

ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ პროსპექტზე შევხვდი ქალს, რომელიც ჩემი პერსპექტიული საცოლე იყო. მასთან შეუღლებას არავინ მიშლიდა, მხოლოდ მისი თანხმობა იყო საჭირო. ერთმანეთის დაზვერვას რომ მოვრჩით, მე დავიწყე:

— როდემდის უნდა ვიყოთ ასე — ცალ-ცალკე?

— ჯერ ასე მაწყობს, — მიპასუხა საცოლემ.

— რატომ გაწყობს? — ვკითხე მე.

— მაწყობს, — არ დაიბნა ჩემი საცოლე.

ანაზდად ვიღაცა ბავშვებიანი ქალი დოსტოლრივ წამოვიდა ჩემსკენ.., ბავშვებს ხელი გაუშვა და ძებნილი პატიმარივით ჩამავლო, ესეც არ იკმარა და მთელი პროსპექტი შეძრა:

— ხომ დაგიჭირე?!

ბავშვები ტირილით უჭერდნენ მხარს: „მამა, მამა!“

მე ამ დროს ჩემი საცოლის ეჭვების გაფანტვა დავიწყე:

— არაფერი არაა გაურკვეველი, ბავშვები რუსულ საბავშვო ბაღში არიან გაზრდილები და დედას „მამას“ ეძახიან!..

— თუ ასე ზრუნავ ამ ბავშვებისათვის, რატომ არ მოგაქვს ჩვენი ორასი მანეთი? მილიცია! მილიცია! — ქალმა უფრო ძლიერ, ნედლი წნელივით მომიჭირა მკლავები.

— ქალბატონო, არსად არ გავრბივარ! მეორეც, უხერხულია, ამ ქალიშვილის წინაშე ამ პოზით დგომა... ჰო, მართლა, რომელ ორას მანეთს მედავებით?

— ალბათ, ალიმენტს! — ჩემმა საცოლემ ირონია დაგვიტოვა და ხალხის მდინარეს მისცა თავი.

— ბოლოს და ბოლოს, საიდან, როგორ წავიღე ის თქვენი ორასი მანეთი? — დავინტერესდი მე.

— ათარბეგოვის ქუჩიდან!

— არ მახსოვს...

— გაიხსენე, სკლეროზი გაქვს? — ჩემს ჯანმრთელობაში ეჭვი შეეპარა ბავშვბიან ქალს.

— შეიძლება, მაგრამ არც ისეთი, რომ სხვისი ორასი მანეთის ხარჯვა დამვიწყებოდა!

— ზუსტად ასეთი პალტო, აწყვეტილი ღილი, უზონარო ფეხსაცმელი... ყურზე ხალი, ქრონიკული სურდო.. მილიცია, მილიცია! — დეტექტივივით აყვირდა იგი და ჩემი „ინვენტარიზაცია“ გააგრძელა.

ააა, ახლა მივხვდი. ეს ალბათ, ფულის წართმევის ახალი მეთოდია, თანაც კულტურული! ჰოდა, ჰო! რა სულმდაბლობაა ჯიბეში ჩუმად ხელის ჩაყოფა! ახლა კი კაცმა შეიძლება, რომ ევაჭროს და ორასი მანეთის მაგიერ, მისცე ასი ან ორმოცდაათი მანეთი!

— მილიცია, მილიცია!

— ქალო, რა გაყვირებს?!

— ვინაა შენი „ქალო“?

— აბა, სახელი მაინც მითხარი!

— მაყვალა მოწყობილი!

— ქალბატონო მაყვალა, დაწყნარდით! აი, ჩემი პირადობის მოწმობა... ხელზე მაქვს მხოლოდ ასი მანეთი... აჰა! გამიშვით! ჩემი ცხოვრების ბედი სასწორზეა. ჰო, მართლა, ხომ უნდა ვიცოდე, რისთვის გავიტაცე ორასი მანეთი?

— ტყავის ლაბადა უნდა მოგეტანა!

მაყვალამ ჩემი მიცემული ასი მანეთი გადათვალა და ჩემს პირადობის მოწმობასთან ერთად ირმის ტყავის ჩანთაში ჩაასეიფა.

— ნახვამდის, — ჯოჯოხეთიდან გამოხსნილივით დავემშვიდობე მე.

— შენზე კიდევ ასი მანეთი დარჩა, ორი კვირის ვადას გაძლევ! — გამაფრთხილა მაყვალამ.

— კი, მანამდის, მანეთიანი მასესხეთ საგზავროდ! — ვთხოვე მე.

მაყვალამ ათშაურიანი მომცა, ამაზე მადლობა გადავუხადე.

ორი კვირის შემდეგ, მაყვალა მოწყობილი სამსახურში გამომეცხადა. მე ასმანეთიანი გავუწოდე, მან ფული გამომართვა და ჩემი პირადობის მოწმობა დამიბრუნა. მე ამოვისუნთქე: ესეც ასე, დავიდარაბას გადავრჩი, წადი და ხალხი დაარწმუნე, არ წამიღია ორასი მანეთიო!

მაყვალა არ გადიოდა ოთახიდან, თვალებში მწურავდა, ეს ვეღარ მოვითმინე და ავყვირდი:

— წადით დროზე, თორემ ახლა მე დავუძახებ მილიციას!

— რას გეტყვით, იცით? თქვენ არა ხართ პატიოსანი ყმაწვილი, ეს ფული ხომ თქვენ არ წაგიღიათ ჩემი სახლიდან?!

— აბა, ვინ?

— ის უკვე დაიჭირეს, ამოვიცანი!.. ამ ასმანეთს ჯერჯერობით წავიღებ და იმ ასმანეთიანთან ერთად მაშინ დაგიბრუნებთ, როცა ის არამზადა სრულად დაგვიბრუნებს ჩვენს ვალს! — დამაიმედა მაყვალა მოწყობილმა.

ეტყობა, იმ „არამზადას“ ფული არ ჰქონდა ჯიბეზე, განვეჭვრიტე მე.

ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚ ᲐᲓᲘᲡᲔᲘ

ნახ. ა. კანდელაკისა

— აი, ახლა ჩავიდნენ და თქვან, ყვავს თავისი ბახალა ურჩევნიაო!

წერილი რომანოზს

შენს ჯადოსნურ სასწორთან ერთად კარგად მეყოლე, ჩემო რომანოზ, დე, წელს იგი ბევრი ხალტურის მომტანი, ურევიზიო, უკონტროლო და უაქტო ყოფილიყოს შენთვის. ამას წინათ შევედი შენს საგრძნობლოში (როგორც ხუმრობ ხოლმე) ანუ შენს თითქმის საკუთარ მაღაზიაში. შევნიშნე, ერთ დოყლაპიას როგორ აჭამე 140 გრამ თევზში, შენებურად თუ ვიტყვით — აყლაპე. „არავითარი ჯადოსნობა, არამედ, უბრალოდ ხელის სისწრაფე“ — სწორედ ამ დევიზით გამიკეთე ერთხელ ჰიპნოზი მეც — შენს ყოფილ თანამდგომლეს. გაყინული თევზი ქაღალდზე დადე, აწონე და ისე შემომხედე, შენს მაგივრად მე შემოცხვა და თავი დავხარე, თვალი აგარიდე, შენ კიდევ — „ჰოპ“ თქვი და რაღაც ნომერი გააკეთე. გულმა ვეღარ მომითმინა და მაინც ავხედე სასწორს. რას გერჩი — ზუსტად ორ კილოგრამს უჩვენებდა ისარი, მაგრამ შინ რომ მივედი და ქაღალდი გავხსენი, გაყინულ თევზზე კიდევ ყინულის ნატეხი იდო.

მას შემდეგ ბევრს ვეცადე შენი ფინტები ამეთვისებინა, მაგრამ არაფერი გამომივიდა და ქარხანაში დავიწყე მუშაობა. დიახ, მე მივატოვე მოტყუების ასპარეზი, რამეთუ შიში ათეორეს ადამიანს.

ახლახან ყური მოვკარი — რომანოზს ჩახლაფორთებული აქვს საქმე, მაგრამ მე მაინც მწამს შენი მარაფათისა, ხომ გაგიგონია, — წუთისოფელი ზოგისთვის მამაა, ზოგისთვის — მამინაცვალო. შენზეა დამოკიდებული, რა გახდება იგი შენთვის.

წარმატებებს კისურავებ, რომანოზ! მიჰყევ მაგ გზას, ვნახოთ სად მიგიყვანს!

პაპლეტ ჩაჩიბაია

გინის ძეგნაში...

ეს ბაღი ყოველთვის სავსეა ბინის გამცვლელებით, გამქირავებლებით, მათი კონტრაგენტებით და მაკლერებით...

ვიფიქრე, ერთ პატარა 30-35-მეტრიან ოთახს როგორმე მეც ვიყიდი-მეთქი და ამ ბაღისაკენ გავეშურე...

ვიღაცას ერთი სარეში ოთახი როგორ არ ექნება? — გავიფიქრე და ერთ-ერთ მაკლერთან მივედი, რომელსაც „ბატონო გოგითო“ მიმართავდნენ და ცალკე გავიხმე. რამდენის გინდაო, მკითხა გოგიამ. დაახლოებით 30-35-ანი-მეთქი, ვუპასუხე. რამდენი წლისა ხარ, შემეკითხა. როგორც ყველა ქალს, არ მინდოდა წლოვანების გამხელა, მაგრამ რადგან საქმე მოითხოვდა, არ დავუმალე. ვინა გვავსო, კიდევ შემეკითხა გოგია. ძმისშვილები, დისშვილები, მოწყენილს არ დამტოვებენ! — ვუპასუხე. მერედა, შე კაი ქალო, 32 წლის ქალი ხარ, თანაც იმდენი დისშვილები გაგიჩენია თავს და 30-35-ანი გინდაო? თითქმის მისაყვედურა, მერე შპარგალკები ააშრიალ-ჩააშრიალა, აათვალიერ-ჩაათვალიერა და კატეგორიულად გამომიცხადა — 30-35-ახზე რა მოგახსენო, მაგრამ 58-ანს, თუ გინდა, კარგ ვარიანტს შემოგთავაზებო. ჩემი ხელფასის პატრონი თუ შევწვდები-მეთქი, შეეკადრე. როგორ არ შეწვდები, ვარდივით ქალი ხარო... — მიპასუხა.

— სად არის, როგორია? — დამინტერესა ბინის სიმაღლემ.

— აქვეა, სოლოლაკში, — მითხრა გოგიამ, — კარგია, მაღალია...

მაღალზერიან ბინას რა ჯობიან-მეთქი, გამიხარდა.

— თანაც პროფესიით მფრინავია, აი, ბიჭი! — თქვა გოგიამ.

— რა-მეთქი?!

ზაირა ლუდუშაური

ექსპერიმენტული ექსპრომტები

ეკონომიკური ბიბლიოთეკა

როცა მაისს გამოცდები,
გამოცდების-გამო ცდები!..

• • •

თავი ისე დაიკინა,
ბანი ჰქონდა — დაიკინა.

• • •

თუ არ გყავს ცოლი „ჩაშუბებული“,
თვალი გექნება ჩაშუპებული!..

• • •

მომტანი გვერდით დგიჯდება, —
სამ-ოთხჯერ მეტი დგიჯდება!

• • •

უმცროსს ნახავს — იქადნება,
უფროსს ნახავს — იქა დნება.

• • •

ნეტავი ამ კაცს აწი რა უნდა? —
წელს მეათეჯერ დაწინაურდა!

ავთანდილ გუგუნიძე

მინიატურები

— მანქანის მართვის უფლება 2100 მანეთი დამიჯდა!..
— კი მაგრამ, ასე ძვირი რატომ?!
— 100 მანეთი სწავლის ქირა შევიტანე, ორი ათასი კი ავარიას დასჭირდა.

— კიდევ კარგი, სიცოცხლედ რომ არ დგიჯდა!

• • •

— ჩვენს ახალ უფროსს ეს რა თვისება აქვს: ერთხელ რომ იტყვის, აღარ გადათქვამს!

— ალბათ, უცოლოა, თორემ ცოლი ცხრაჯერ შეაცვლევინებდა აზრს.

• • •

— ნეტავი, რა უფრო უყვარს ჩვენს სტუმარს, რა გავამზადო?
— მაინც და მაინც ხუ შეწუხდები! ერთი მოხუცი, ავადმყოფი კაცია!..
— კარგი! მაშინ წამლებს დავამზადებ!

გიორგი დონდოლაძე

ნახ. ბ. დეიხაკისა



უსიტყვოდ

კაპიკიანი ნერვები

— ეგ ფერადი ალობინი მომეცით!.. რა ღირს?
— 81 კაპიკი.
— აი, ინებეთ მანეთი!
— კაპიკიანი არა გაქვთ? 20 კაპიკს დაგიბრუნებთ... ყველას რომ თითო კაპიკი გავატანო, კარგი დახლი დამიდგება!
— ორკაპიკიანი მაქვს!
— აიღეთ 20 კაპიკი!
— 1 კაპიკი?
— არა მაქვს.
— ჩემი კაპიკიანი არ კაპიკიანობს, თქვენი კაპიკიანობს? ყველას რომ თითო კაპიკი დავუტოვო...
— კაპიკზე ლაპარაკობთ ამდენს?
— არა, ამხანაგო, აქ კაპიკიანი კი არ არის მთავარი...
— კარგი ერთი, თუ ძმა ხარ!..
— კაცო, მე როცა მაკლდა, — „მომეცი კაპიკიანიო!“ ახლა შენ უნდა დამიბრუნო ხურდა კაპიკიანი... აკლია, გესმის?!.
— რა აკლია, ვის აკლია?!
— თქვენ გაკლიაო!
— მეე? მე კი არა, შენ გაკლია ნაღდად კაპიკისა! თვალთ დამიბნელდა, სისხლი თავში მეცა.
— რა წყენია ეგ, მეგობარო? — შემომეფლა ვიღაც და რომ არ დავცემულიყავი, იღლიაში მჭაცა ხელი.
— სამკუთხლო მეცნარეებისაა... — ძლივს ამოვიღულღუე.
— ჰოდა, წადი, ნერვები იმკურნალე! — დამიღრიალა გამყიდველმა.

ზ. ყორღანაშვილი

ერთი ყლუპი ფყალი

— დავიღუპეთ, გრიშა! ამ უთავბოლო წანწალში საპარის უდაბნოში გავსულვართ!.. აგერ აქლემების ქარავანი!...

— შეხედე, მექარავანეები ხელს გვიქნევენ! მგონი, გეგმეეფა! მაგათ ყოველთვის აქვთ წყლის მარაგი! აჩიქა, ჩქარა!

— ვაიმე! რა დროს მიღალატეს მუშლებმა! ეს ქვიშა რაღა უბედურებაა?! კაცი ზედ ფეხს ვერ მოიკიდებს რიგიანად!..

— აბა, ბიჭო, მაგან არ მომკლა?! ოხ, ახლა ერთი ყლუპი წყალი ჩამაყლაპა და ამ ქვიშის მთებს სულ სირბილ-სირბილით გადავივლიდი!..

— მექარავანეებმა შეგვნიშნეს და მოსახმარებლად მოდიან! თქვენი ჭირიმეთ, ადამიანებო — სიკეთისა და სიყვარულის მაცხოვლო ადამიანებო! მოდით, მოდით, ფეხებზე ვემოხვევით, წვერებს დავიკოცნით, აქლემებს დორბლიან ტუჩებში ვაკოცებ, ოღონდ ერთი ყლუპი წყალი დამალევინეთ, ერთადერთი ყლუპი! აი, ისინიც! თქვენი ოჯახი ააშენოს ღმერთმა! შეხედე, როგორ იღიმიანან!

— გესმის, ბიჭო?! ქართულად ლაპარაკობენ, ქართულად! ოხ, ღმერთო, დიდებულო! გიწამებ! იმიტომ გიწამებ, რომ ნამდვილი სასწაულმოქმედი ხარ — რა უნდათ ქართველებს საპარის უდაბნოში?!

— გამარჯობათ, ქართველებო — ჩვენო სისხლო და ხორცო! ჩვენ, ორ ბაურად გაყიდულ მამლუქებს, როგორც იქნა, გვეღირსა სამშობლოში დაბრუნება! მორჩა, ჩვენ აღარსად აღარ წავალთ საქართველოდან! ტურისტული საგზურითაც კი. წყალი გაქვთ, ბიჭებო, წყალი, ერთი ყლუპი, ტუჩები რომ დაგვიბაციალოს, იმდენი?! ნაო, ტირით? ლაჩრობა არ დამანახოთ! მაგას ჯობია, აი, ის თქვენი მეგობრები დაასაფლაოთ, რომ ყვავებმა და ტურებმა არ ჯიჯგნონ. ჩვენ წავედით!

— ხედავ, გრიშა, რა მოსვლიათ ამ უბედურებს?! ბიჭო, რაედენ!... ვარლამ!.. ვაი, თქვე საცოდავებო, წყურვილმა დაგხოცათ?

— ბიჭოს! ის რა მოჩანს?! შეხედე ერთი, ლუდის ჯიხურია! ღმერთო დიდებულო! ეს უკვე დაუჯერებელი ამბავია. ლუდის გამყიდველი ჩემი ქსენიაა! ჩემი მეუღლე! რამ გადარია ეს ქალი, ოჯახი მიუტოვებია და საპარის უდაბნოში ლუდს ჰყიდის! მე შენ ვიჩენენ სეირს!

— რა დროს ეგ არის, კაცო! ოჯახურ საქმეებზე მერეც მოასწრებთ ლაპარაკს, უთხარი, დაასხას ლუდი!

— ქსენია, დაასხი ორი ლუდი!

— ხმამაღლა უთხარი, ბიჭო, არ ესმის!

— ლუდი დაასხი-მეთქი, ქალო!

— რა გაღრიალებს, კაცო, გული გამისკდა. საიდან მოგიტანეთ ლუდი?! რაედენა და ვარლამი სად მამაჩემთან წავიდნენ, ეს თვალებდაჭყეტილი გრიშა რომ მომყვანე აქ!?

— ქვიშაში დავმარხეთ...

— შავ მიწაში დაგმარხე შენი ამფსონებიანად, გადაყავი ხელი, საწოლთან „ბორჯომი“ გიდგას!

ნიკოლოზ იოსებიძე

ნახ. ბ. ლომაძისა

— ჩვენ პირადად ეს უფლებას მტაციცდ ვიცავთ: პირჩიეთ, რეფერი ბნეგავთ, მისტერ კარლ!

24.V 78
ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახ. ბ. ლომიძისა



ᲣᲡᲘᲢᲧᲕᲝᲓ

— რატომ არ ანათებენ ამ ქუჩას?!
— რცხვენიათ!

ᲙᲘᲠᲘᲚᲘᲡ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲔᲑᲘ

იბსენს, გოეთეს, ბალზაკის თარგმანს
უწუნებ ყველას — თავი გტკენია!
იქნებ დედანი გადაგეშალა,
მოგწონებოდა მათი ვენია?
მაგრამ თუ რომელ ენაზე წერდნენ,
ეტყობა, ეს ვერ დაგიდგენია!

ᲙᲐᲙᲐᲪᲘ ᲒᲣᲚᲝᲛᲘᲜᲘ

ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲘ ᲓᲘᲐᲚᲝᲒᲘ

— ექიმო, ამ წამალმა თუ არ მიშველა, რა ვქნა?
— მაშინ... სხვა წამალს გამოგიწერ.
— იმანაც თუ არ გაჭრა?
— მთლად სხვას დაგინიშნავ, ის აუცილებლად გიშველის...
— მაშინ... ახლა გამომიწერე ის „მთლად სხვა“.

ᲒᲘᲒᲚᲐ ᲒᲐᲮᲢᲐᲫᲔ

ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲘᲡ ᲙᲕᲐᲚᲓᲐᲙᲕᲐᲚ

„ᲜᲘᲐᲜᲒᲘᲡ“ 22-ე ნომერში სათაურით — „ბარათები ნიანგს“ დაბეჭდილ წერილში კასპის რაიონის სოფელ ხიდისყურის მოსახლეობა მოითხოვდა მათ სოფელში კულტურულ-საგანმანათლებლო მომსახურების გაუმჯობესებას.

სახალხო დეპუტატების კასპის რაიონული საბჭოს აღმასკომმა იმსჯელა სოფელ ხიდისყურში კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის, სამედიცინო და საყოფაცხოვრებო მომსახურების, აგრეთვე, სოფლის სასმელი წყლით მომარაგების გაუმჯობესების საკითხებზე.

კასპის რაიაღმასკომის კულტურის განყოფილების გამგეს ამხ. ა. მენაბდიშვილს დაევალა ხიდისყურში მოძრავი ბიბლიოთეკის მუშაობის გაუმჯობესება, ამასთან, გათვალისწინებულია სოფელში ბიბლიოთეკის გახსნა.

რაიონის სამედიცინო გაერთიანების მთავარ ექიმს ამხ. ნ. ჩინჩალაძეს დაევალა დააყენოს სათანადო ორგანოების წინაშე სოფელ ხიდისყურში საფერშლო-სამეანო პუნქტის გახსნის საკითხი.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ეთხოვა გაითვალისწინოს ქსნის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში შემავალი წყალსადენის მშენებლობა, რომლის ტექნიკური დოკუმენტაცია შედგენილია 1974 წელს.

აღნიშნული წყალსადენი უზრუნველყოფს სასმელი წყლით სოფლებს აღაიანს, საქადაგიანოს და ხიდისყურს.

ასევე ეთხოვა განათლების სამინისტროს 1978-79 სასწავლო წლისათვის სოფლების ხიდისყურის და საქადაგიანოს 8-წლიანი სკოლების ბაზაზე გაითვალისწინოს ერთი საშუალო სკოლის გახსნა.

* * *

ᲡᲐᲗᲐᲣᲠᲘᲗ — „ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲡ ᲒᲕᲬᲔᲠᲔᲜ“ — „ნიანგის“ პირველ ნომერში დაბეჭდილი კრიტიკული შენიშვნა ამხელდა სიღნაღის რაიონის სოფელ ასანურში კულტურული მომსახურების დაბალ დონეს.

სახალხო დეპუტატების სიღნაღის რაიონული საბჭოს აღმასკომიდან რედაქციას აცნობეს, რომ წერილში მოტანილი ფაქტები დადასტურდა.

აღმასკომმა განიხილა წნორის კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობის საკითხი (სოფელი ასანურიც, ფაქტიურად, დაბა წნორში შედის) და დასახა პრაქტიკული ღონისძიებანი ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

* * *

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡ მე-3 ნომერში გამოქვეყნებული კრიტიკული შენიშვნა სათაურით — „წერილებს გვწერენ“ ამხელდა შეფერხებებს ქალაქ გორის ბუნებრივი გაზით მომარაგების საქმეში.

გორის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომიდან მოგვწერეს, რომ წერილში აღნიშნული ფაქტი სინამდვილეს შეეფერება. ამჟამად, მოსახლეობისათვის გაზის მიწოდების საკითხი მოგვარებულია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახ. გ. ფირცხალავავი



უსიტყვოდ

ნახ. რ. ჯაფარიძე



უსიტყვოდ

ნახ. ვ. კუციავი



უსიტყვოდ

ნახ. ი. ყეინაშვილისა

უსიტყვოდ

გვეკითხებიან. ვუკასუხებთ

მაღალმთიანი რაიონის ზოგიერთი სოფლის ორღობეც კი გვენატრება, ისეთი გზა და შემოგარენი აქვს ჩვენ სახლს, რომელსაც კოოპერატიული ჰქვია და დიღმის მასივის მე-3 კვარტალის მე-9 და მე-10 კორპუსებს ეძახიან. აქ 150-მდე ოჯახი ვცხოვრობთ, ვშრომობთ და, კოოპერატივის ანგარიშზე, გარკვეულ თანხასაც ვაგროვებთ, მაგრამ არც ჩვენი თანხა უნდათ და არც არაფერს გვიკეთებენ! თუმცა გამწვანების ტრესტმა 9.000 მანეთი ჩაირიცხა, მაგრამ ერთი ხეც არ გადმოგვირიცხა! შევეჩვიეთ ანტისანიტარიას, ტალახს, ხელოვნურ გუბეებს და ჩვენი ეზოს გამწვანება ძალზე ფანტასტიკურად გვეჩვენება.

ვის არ მივმართეთ, სად არ ვიყავით, მაგრამ არავინ ყურადღებას არ გვაქცევს, არავის აინტერესებს ჩვენი კეთილმოწყობა!

პასუხი: ჩაიხედეთ „ნიანგის“ ლექსიკონში: სიტყვა „კოოპერატიული“ „უპატრონოს“ ხომ არ ნიშნავს?!

* * *

ოქტომბრის რაიონში, გამცემლიძისა და კუმისის ქუჩებს შორის, შურდულის შესახვევია. აქ სტუმართმოყვარე ხალხი ცხოვრობს და მისვლა-მოსვლაც ხშირია. თავის მისასვლელს ყველა საკუთარი სახსრებით ამაგრებს, მაგრამ რად გინდა? ფუჭი შრომაა: პატარა წვიმასაც კი შურდულივით ნიაღვარი მოჰყვება და ამდენ ნაშრომ-ნაამაგარს წყალში ჩაყრის.

პასუხი: ამ საქმეს სპეციალისტები სჭირდება, — კედლის ამოყვანა და კიბის აყვანჩაყვანა. შურდულის შესახვევს მამაპაპური ფარივით საყრდენი რომ გაუკეთდება, აი, მაშინ დარბაისელი კაცი შურდულივით არ გავარდება ქუჩაში, აქაოდა, კისერი არ მოვიტეხოო.

* * *

თბილისში ბალანჩივაძის ქუჩას აღმართიცა აქვს და დაღმართიც, კენტი ნომრებიცა და წყვილიც. ერთი მხარე 26 კომისრის რაიონია, მეორე — ოქტომბრის რაიონი. ქუჩა კეთილმოუწყობელია, გათხრები ხშირია, ხოლო მისი შევსება — იშვიათი ხილი. კენტსა და წყვილ ნომრებში მცხოვრებნი ერთნაირ მდგომარეობაში ვიმყოფებით. პატრონები რომ არ გვყავდეს, ჩვენ თვითონვე ვითავებდით ქუჩის მოვლა-პატრონობას, მაგრამ არ იტყვის ხალხი, ვინ გკითხავთ, სხვის საქმეში რომ ერევითო?!

პასუხი: კარგი საქმისთვის არავინ დაგძრახავთ, ოღონდ, რასაც საკუთარი ძალებით ვერ შეძლებთ, ისეთ საქმეში არც უნდა ჩაერიოთ!

ჟანი სიხარულიძე

პრემია... ჩემია!

სამსახურში კვარტალური
მოიტანეს პრემია,
თვითეული გაიძახის:
„ეს პრემია ჩემია!“
— რისთვის, ქეთო?
— როგორ რისთვის,
ეს რას მიედ-მოედე?
პროფკავშირის გადასახადს
მე არა ვკრეფ ყოველთვე?
— შენც პრემია, კატო?
რისთვის?
ნუ ხარ ქალი — იგავი!
— რაო? რისთვის?
ერთ კრებაზე
მდივანი არ ვიყავი?!
— შენც, გაბრიელ?
— მეც მერგება!
საჭიროა ავყვირდე?!
ერთხელ ჭერში სულ ახალი
ნათურა ხომ დავკიდე?!
— შენაც, დიტო, გსურს
პრემია,
ქე ხარ თავაღერილი!
— მე, ბატონო,
კედლის გაზეთს
მივაწოდე წერილი.
— ვის ერგება ეს პრემია,
ვეღარ გაგვირჩევია! —
თქვა აჩიკომ და დაასკვნა:
— ეს პრემია ჩემია!
— თქვენიაო?
რასა ბრძანებთ!
ამისთანას რას შვრებით?!
ეგ მისთვის, რომ
ხალხს დღე და ღამ
ჭადრაკს ეთამაშებით?!
— კრინტი!
მე თქვენს კინკლაობას
კიდევ გავაჭაჭანებ?
მე გიხსენით,
თორემ ლამის
ერთმანეთი დაჭამეთ! —
რისთვისაო?
ეს საკითხი
განა გასარკვევია?
თქვენი გაშველებისათვის
არ მეკუთვნის პრემია?!.

გიორგი შეთეკაური

78-249

ნახ. გ. ლომბიძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

Индекс 76137

ისრაელს განზრახული აქვს, კვლავაც „გამაგრდეს“ სამხრეთ ლიბანში ამერიკის მხარდაჭერით.

ისრაელის კატა ამერიკულ ჩექმებში

მთავარი რედაქტორი **ზურღან გემაზაშვილი** **სარედაქციო კოლეგია:** ზ. ბოლქვაძე (მთ. რედ. მოადგილე) ზ. კაციაშვილი, ჯ. ლოლუა, გ. ლომბიძე, ნ. მალაზონია (მხატვ. რედ.), გ. ნიშნიანიძე, გ. სიხარულიძე (პ/მგ. მდივანი), გ. ფირცხალავა, ო. ჭელიძე ● ტექნიკური რედაქტორი **მ. კუხალაშვილი**, ● **სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“**. ● თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 42, ● საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა, ● გადაეცა ასაწყობად 6/IV-78 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 6/V-78 წ. ქაღალდის ზომა 70×108 1/8 ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 2. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1.7 ● საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14. ● შეკვ. 1043 უე 00720 ტირ. 146.760 Тбилиси, пр. Руставели № 42, Сатирико-юмористический журнал «Нианги», ● Издательство ЦК КП Грузии. ● Типография Издательства ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина № 14.
ტელეფონები: 99-76-69, 93-19-42, 93-10-78, 93-49-32. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ნახატი თემების ავტორები: ა. ადეიშვილი, ი. ყიფიანი, ბ. მდივნიშვილი, ნ. ბართია, გ. ლომბიძე, ი. ქერნაშვილი, რ. ჯაში, ვ. კუტია, ბ. დეხაძე.